

## საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისი, კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (№3/36) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევა“.

შ.პ.ს. „ბალტიკ ინვესტმენტ გრუპ“-ის ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2017 წლის თებერვალში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (№3/36) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

**შემოწმების მიზანი:** დადგინდეს ქ. თბილისში, კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (№3/36) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „გეოტექსერვისი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2014 წლის ოქტომბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი გ. ტლაშაძე (მენეჯერი). მათ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებების განსაზღვრა.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე-----14გვ.
2. ტექნიკური დავალება----- 1გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ----- 7გვ.
4. მოედნის ტოპოგემა ----- 1ფურც
5. საძირკვე გამოწვევების ლითოლოგიური სვეტები ----- 7ფურც
6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ----- 2ფურც

პროექტით საკვლევ უბანზე უნდა აშენდეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზვით გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი. მათი საერთო ჯამი 34.0 მეტრს შეადგენს. გაყვანილი იქნა აგრეთვე 3 შურფი, საერთო სიღრმით 5.4 მეტრი. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი;
2. ფენა 2 – ძირითადი ქანი, ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობა;
3. ფენა 3 – ძირითადი ქანი, გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობა.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების (გარდა ტექნოგენური გრუნტისა) საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. ძლიერ გამოფიტული ქანების სიმტკიცის მაჩვენებლების განსაზღვრა მოხდა სტაბილომეტრის საშუალებით. განსაზღვრულია კლდოვანი ქანების დროებითი წინაღობა ერთდერძა კუმშვაზე. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, ავტორი იძლევა წინადადებებს მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

### დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (№3/36), აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავლნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძველად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების  
მიმართულების ხელმძღვანელი,  
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



გ. შონელიძე